ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ ჩემს მიერ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწეული საქმიანობის ანგარიშს (N10/18479. 12.10.2015).

ამასთანავე, მოგახსენებთ რომ 2015 წლის 29 ოქტომბერს 18 საათზე ილიას ბაღში (მის:აღმაშენებლის გამზირი N 73) ჩანიშნულია შეხვედრა ამომრჩევლებთან.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი

10

N10/18479 23.10.2015

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ფავლენიშვილის საქმიანობის ანგარიში

2014 წლის მანძილზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისის თავმჯდომარემ ჩაატარა 16 კომისიის სხდომა, სადაც განიხილეს 24 საკითხი.

2015 წლის იანვრიდან დღემდე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისის თავმჯდომარე დაესწრო 16 ფრაქციის სხდომას, 25 საკრებულოს სხდომას, 39 ბიუროს სხდომას, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 9 სხდომას, გარემოს დაცვის კომისიის, ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომებს. გარდა ამისა, 10 თვის მანძილზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში ჩატარდა 19 კომისიის სხდომა,რომლებზეც გატანილი იყო 23 საკითხი. საანგარიშო პერიოდში კომისიას მოქალაქეთა მიღების დღეებში მომართა 241-მა მოქალაქემ.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სულ ჩაატარა 35 კომისიის სხდომა და განხიულული იქნა 47 საკითხი. აქედან აღსანიშნავია:

- 28.08.2014-კომისიის სხდომაზე განიხილეს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის ღონისძიებების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 64-ე მუხლის ,,ა''პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტის,78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტისა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასევე იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნია თბილისში და რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ''.
- 06.11.2014-კომისიის სხდომაზე განიხილეს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის'' მიერ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიში (მომხსენებელი-ფრაქციის თავმდჯდომარე რამინა ბერაძე).ასევე იმსჯელეს ,,უფასო სასადილოების'' პროგრამის გაუმჯობესების შესახებ.

მე-2 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტისა და ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოდგენილი ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ'' დადგენილების პროექტი. საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე ნომრით 04/2150.

- 27.02.2015-ში ჯანმრთელობისა დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა საკითხი საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის N07.01.152 განკარგულების საფუძველზე წარმოდგენილი: ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის'' დამტკიცება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის 6.2.28 კოდით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში. დასამტკიცებლად გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე ნომრით 04/3486.
- 06.04.2015- ჯანმრთელობისა დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები და მათი განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე'' ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის N1-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.განისაზღვრა და დამტკიცდა C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანასების განხორციელების წესი (N04/8494).
- 14.05.2015-ჯანმრთელობისა დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ თბილისში და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების წესის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის #7-13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი. (04/8495 05.05.2015წ.)
- 18.06.2015-ჯანმრთელობისა დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მათი განხორციელების წესის დამტკიცების შეტანის შესახებ ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის N1-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის

მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის'' ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცებას. საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე ნომრით 04/10743.

- 04.07.2015-ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა საკითხი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც დასამტკიცებლად გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე ნომრით 04/12450.

გარდა ამისა, ირაკლი ფავლენიშვილი არის ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქ. მოქალაქეებისთვის, რომელთაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ ქ.თბილისში და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, სოციალური დახმარების და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების ხელშეწყობის,, კომისიის წევრი, რომელმაც ჩაატარა 24 კომისიის სხდომა.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი "სხვა სოციალური დახმარებების" პროგრამის ფარგლებში, ჯანდაცვის საჭიროებების დაფინანსებაზე შემოსული განცხადებების რაოდენობა და მათ შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, 2015 წლის იანვრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.						
	განცხადებების რაოდენობა			თანხა (ლარი)		
მოთხოვნის სახე	განხილული	მათ შორის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებული		მოთხოვნილი	მათ შორის დაკმაყოფილებული	
AT-ამბულატორიული მკურნალობა	1,438	1,352	94%	2,527,410	1,214,288	48%
BT-ქცევითი თერაპია	225	200	90%	280,057	72,266	25%
CH-ქიმიოთერაპია	238	211	88%	1,751,307	458,536	26%
GE-გამოკვლევები (როგორც ლაბორატორიული,ასევე რადიოლოგიური)	182	172	94%	364,485	160,273	43%
IE-იზოტოპური გამოკვლევა	33	32	96%	48,207	38,874	80%
LE-ლაბორატორიული გამოკვლევები	365	335	91%	266,691	172,083	64%
MC-მედიკამენტი	7,555	7,178	95%	10,593,244	3,103,720	32%
OD-ოპერაციული დიაგნოსტიკა	81	73	90%	193,327	112,192	58%
OT-ოპერაციული მკურნალობა	5,023	4,698	93%	32,772,252	6,308,619	20%
RE-რადიოლოგიური გამოკვლევები	957	915	95%	576,439	408,577	70%
RH-რეაბილიტაცია	889	833	93%	1,477,977	504,645	34%
RT-სხივური თერაპია	373	344	92%	1,288,205	536,961	41%
ST-სტაციონარული მკურნალობა	401	338	84%	3,912,447	1,254,504	33%
TM-სამკურნალო მასაჟი	399	382	95%	211,341	117,287	55%
TT-მეტყველების თერაპია	134	116	86%	164,810	42,910	26%
OX-სხვა შემთხვევები	320	212	66%	401,782	224,187	55%
სულ	18,613	17,391	93%	56,829,981	14,729,923	26%

2014 წლის ივლისიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისის თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა 771 კორესპონდენცია. აქედან დაკმაყოფილდა 165 შუამდგომლობა (24%), უარი იქნა მიღებული 606 (76%) შუამდგომლობაზე.

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება-230 კორესპონდენცია
  -დაკმაყოფილდა 19 (9%) შუამდგომლობა
  -უარი იქნა მიღებული 211 (91%) შუამდგომლობაზე
- სამედიცინო მომსახურება-275 კორეპსპონდენცია
  -დაკმაყოფილდა 134 (49.1%) შუამდგომლობა
  -უარი იქნა მიღებული 141 (51.9%) შუამდგომლობაზე
- სხვა სოციალური მომსახურება-25 კორესპონდენცია
  -დაკმაყოფილდა 7 შუამდგომლობა
  -უარი იქნა მიღებული 18 კორესპონდენციაზე
- კომუნალური ვაუჩერი-3 კორესპონდენცია
  -დაკმაყოფილდა 1 შუამდგომლობა
  -უარი იქნა მიღებული 2 შუამდგომლობაზე
- უფასო სასადილო-771 კორესპონდენცია
  -დაკმაყოფილდა 165 (24%) შუამდგომლობა
  -უარი იქნა მიღებული 606 (76%) შუამდგომლობაზე

2015 წლის იანვრიდან დღემდე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისის თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა 853 კორესპონდენცია. დაკმაყოფილდა 248(28.1%) შუამდგომლობა, უარი იქნა მიღებული 223 (26%) შუამდგომლობაზე, დაპირება-96 (12%), 193 შუამდგომლობა განხილვის პროცესშია.

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება 248- კორესპონდენცია
  -დაკმაყოფილდა 52 (23%) შუამდგომლობა
  -უარი იქნა მიღებული 57(24%) შუამდგომლობაზე
- სამედიცინო მომსახურება-306 კორესპონდენცია
  -დაკმაყოფილდა 171 (57%) შუამდგომლობა
  -უარი იქნა მიღებული 59 (19)შუამდგომლობაზე
- სხვა სოციალური მომსახურება-33 კორესპონდენცია
  - დაკმაყოფილდა 1 შუამდგომლობა
  - უარი იქნა მიღებული 15 შუამდგომლობაზე
  - განხილვის პროცესშია 17 შუამდგომლობა
- სხვა სოციალური საკითხები-243 კორესპონდენცია
  -დაკმაყოფილდა 19 შუამდგომლობა
  -უარი იქნა მიღებული 87 შუამდგომლობაზე

2015 წლის განმავლობაში, გარდა კომისიის სხდომებისა, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, მათგან აღსანიშნავია:

1. სამუშაო შეხვედრა ბავშვთა კვების წარმომადგენელ კომპანიებთან (NESTLE, HUMANA, HIPPI, CELIA, PRISCO), რომელიც შეეხებოდა ბავშვთა ჯნმრთელობის დაცვის, უსაფრთხო და ადეკვატური საკვებით უზრუნველყოფის, ბუნებრივი კვების პრაქტიკის ხელშეწყობის თემატიკას.

ასევე, წარმატებით განხორციელდა შინმოვლის პროექტი, რომელიც გულისხმობს ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში'' რეგისტრირებული საწოლს ან სახლს მიჯაჭვული ადამიანების დახმარებას. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 360 000 ლარი და დღემდე წარმატებით ხორციელდება დონორი ორგანიზაციების (,,სოციალური პარტნიორობა'', ,,საქართველოს ზრუნვის პლათმორმა'') თანადაფინანსებით.

შემოსული და განხილვის პროცესში მყოფი პროექტები

1. ,,ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების კავშირი''.მის.რუსთავის გზატკეცილი N18/20. ტ. 595 33 18 07. განმცხადებელი ერონ (მამუკა) გიგლემიანი. ითხოვს ,,ჰემოფილიით დაავადებულთა კურორტული მომსახურებისა და რეაბილიტაციის პროგრამის'' დაფინანსებას, რომელიც მოცავს: ბორჯომში სამკურნალო მინერალური წყლით, სამკურნალო მასაჟით და ფიზიო პროცედურებით მკურნალობას.წყალტუბოში როდონისა და გოგირდ წყალბადოვანი აბაზანებით მკურნალობას.ქობულეთში კარდიორევმატოლოგიურ სასტუმროში ზღვისა და მზის აბაზანების მიღებას. (ბენეფიციარები 5 წლის ასაკიდან).პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 84 640 ლარს. პროგრამის შესრულების ვადები 01 მარტი 2016-31 დეკემბერი 2016
2. *შპს ,,OXIGEN''*,მის: ქ.რუსთავი მე-20 მკრ, კორპ 13, ბინა 40. საქმიანობის ტიპი: ნატურალური წვენის ჟანგბადით გაჯერება. განმცხადებელი: მარინა გოლცბერგერი. პროექტის დასახელება: ,,სინგლეტური ჟანგბადით მკურნალობა''. პროექტის ბიუჯეტი არ არის წარმოდგენილი.
3. ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი *მწვანე სახლი.* მის: ნ. რამიშვილის ქ.37. საკონტაქტო პირი მარინე ტარასაშვილი, ტელ:599 64 90 67. პროექტის მიზანი - მცირეწლოვან და სკოლამდელი ასაკის ბავშვებში განვითარების ფსიქიკური, ემოციური, ქცევითი და სხვა დარღვევების პრევენცია, მათი რისკ-ფაქტორების აღმოჩენა და აღმოფხვრა. პროექტი გაწერილია 12 თვეზე და ბიუჯეტი შეადგენს 38 892 ლარი.აღნიშნული პროგრამა ხორცილედება თბილისი მერიის მიერ და ემსახურება 2-დან 15 წლამდე ასაკის განვითარების დარღვევების მქონე პაციენტებს. ქვეპროგრამით განსაზღვრულ სერვისებს წარმოადგენს:ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების

უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსის მიწოდებას, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა). ბიუჯეტი შეადგენს 500 000 ლარს.

4. *ააიპ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი.* ცენტრის დირექტორი მადლენ ნიკოლაიშვილი (საკონტაქტო პირი -გიორგი გელეიშვილი. ტელ: 599 11 03 53). მის: შავიშვილის ქუჩა N1. პროექტის დასახელება: ,,2016 წლის თბილისის ბიუჯეტში აისახოს თემში აქტიური ფსიქიატრიული მკურნალობის პროგრამა''.პროგრამის სერვისში შედის: მკურნალობა, რეაბილიტაცია, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომლის მიწოდებაც ხდება ბინაზე და იმ სოციალურ გარემოში სადაც იმყოფება ბენეფიციარი. კვირაში 24 საათის განმავლობაში.პროგრამის ბიუჯეტი 1 წლიანი პროექტის ფარგლებში, 50 ბენეფიციარზე, შეადგენს 169 004 ლარი.
5. არასამთავრობო ორგანიზაცია *,,კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ''.* მისამართი ქ.თბილისი, ძმები უბილავების ქუჩა N8. ტელ:558 13 22 41. პროექტის მიზანია საქართველოში სოციალური თერაპიის დანერგვა. კავშირი ემსახურება 56 ბენეფიციარს, საიდანაც 18 ბენეფიციარი ფინანსდება საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ 100%-იანი ვაუჩერით, 22 მათგანი 75%-ით, 16 ბენეფიციარს კი საერთოდ არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ 2016 წელს გააგრძელოს ფუნქციონირება, საჭიროა 233 710 ლარი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მხარს უჭერს ორგანიზაციის ინიციატივას და მიიჩნევს, რომ მისი განხორციელება დაეხმარება ქვეყანაში ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს.
6. საქართველოს ფსიქოლოგიური დახმარების ასოციაცია ,,ნდობა''. მის: ზ.ჭავჭავაძის 11/102. დირექტორი-ნანა აღაპიშვილი. საპროექტო წინადადება:გადაუდებელი სატელეფონო ფსიქოლოგიური მომსახურება. მიზანი-ფსიქოლოგიურ კრიზისში მყოფი ადამიანების დახმარება, ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 80 194 ლარს.
7. არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ბავშვთა და დედათა უფლებათა უფლებებისთვის''.პროექტის სახელწოდება: ,,თბილისი ხელებგაწვდილი მიუსაფარი ადამიანების გარეშე''.აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია: ხელებგაწვდილი მიუსაფარ ადამიანთა აღრიცხვა-რეგისტრაცია, მორალური და სულიერი მრწამსის რეაბილიტაცია. ეკონომიკური სიდუხჭირის მოგვარება.პროგრამის 1 წლის ბიუჯეტი შეადგენს 843 764 ლარს.

სხვა აქტივობები

1. საერთაშორისო ასოციაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის''. 2015 წლის 27 თებერვლის შეხვედრა-დიალოგი თემაზე ,,ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური კონფლიქტების პრევენციისათვის''-შეხვედრის მონაწილე.
2. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და ევროპის ქვეყნების ექიმთა ასოციაციები (WHO/EFMA)ფორუმი, 22-25 აპრილია, 2015 წელი. ფორუმის მონაწილე.
3. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშის და მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგის შედეგების განხილვა.ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. განხილვის მონაწილე.
4. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის რეგიონის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დიაბეტის ასოციაციების სამიტის მონაწილე. 16-17 მაისი 2015 წელი.
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-8 საერთაშორისო ფორუმის მონაწილე. 5 მაისი 2015 წელი.
6. კონსულტაციისა და ტრეინინგის ცენტრი, სამუშაო შეხვედრა თბილისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებსა და საქართველოს ზრუნვის პლათფორმას შორის (2014 წლის 16 ოქტომბერი).
7. კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ. კონფერენციის თემა-ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების დღის ცენტრების მდგომარეობა საქართველოში და სახელმწიფოს როლი სერვისების განვითარებაში (27.11.2014).
8. კომპანია ,,ნესტლე'', სამეცნიერო კონფერენცია თემაზე ,,სიცოცხლის პირველი 1000 დღე განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობას''-მომხსენებელი (2014 წლის 26 ნოემბერი).
9. სამეცნიერო კონფერენცია ,,ნეონატოლოგიური და პედიატრიული სამედიცინო ტრანსპორტირება'', სამედიცინო კორპორაცია ევექსი. 2014 წლის 9 ნოემბერი.კონფერენციის მონაწილე.
10. საქართველოს პენსიონერთან კავშირის მე-4 ყრილობა. 2014 წლის 10 ოქტომბერი-ყრილობის მონაწილე.
11. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული'' (27.12.2014). კონფერენციის მონაწილე.
12. სამეცნიერო კონფერენცია-,,ბავშვთა კვება'', კომპანია ,,ჯი-პი-სი''. 2015 წლის 29 მაისი, კონფერენციის მონაწილე.
13. ევროპის ნეონატოლოგიური და პერინატოლოგიური საზოგადოებების გაერთაინების მე-4 საერთაშორის კონფერენცია. 11-14 დეკემბერი 2014 წელი, ათენი. მიწვეული სტუმარი.

14. საქართველოს პედიატრთა ასოციაციის მე-7 კონგრესი საერთაშორიოსო მონაწილეობით ,,სწორი კლინიკური გადაწყვეტილება პედიატრიაში''.თბილისი,17-18 აპრილი, 2015 წელი. სიმპოზიუმის თავმჯდომარე.
15. ასოციაცია ჰერა 21-ე, ,,მრგვალი მაგიდა'' რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. 2015 წლის 12 ოქტომბერი. ღონისძიების მონაწილე.
16. ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო კომისიის წევრი, 2014-2015 წელი.
17. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის წევრი, 2014-2015 წელი.
18. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა სააატესტაციო კომისიის წევრი-2015 წლის ივნისი.
19. ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, 2015 წლის ოქტომბერი.
20. ქ. თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის და საკრებულოს წევრების სარეაბილიტაციო ცენტრის ,,პირველი ნაბიჯი" ხელმძღვანელობასთან შეხვედრა.
21. ,,ამერიკული კლინიკა თბილისში'' პრეზენტაციის მასპინძელი-სექტემბერი 2015
22. საერთაშორისო ასოციაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სოციცხლისათვის'' და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მხარდაჭერით საერთაშორისო დონორმა ორგანიზამ გამოთქვა სურვილი, 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს და პირებს შეუძინოს საოჯახო ტექნიკა.პროექტი განხორციელდება უახლოეს მომავალში.